PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი
წევრი: ნია გუგუნავა

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „განთიადი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. გუგუნავა

PDF Eraser Free

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის N304186 ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს, ვახტანგ ბოგველიშვილისა (თავმჯდომარე) და ნია გუგუნავას (წევრი) შემადგენლობით, დაევალა ა(ა)იპ კოლეჯი "განთიადის" (განხორციელების ადგილი - გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავი) ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის დ.ა) და დ.ბ) კომპონენტების და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (არაგეგმიური მონიტორინგი). ზემოაღნიშნულ მისამართზე დაწესებულება არ ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და 2021 წლის მიღებაზე სურს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „შედუღება“ და „ხის მხატვრული დამუშავება“, რომელთა განხორციელების ადგილად განსაზღვრული არის როგორც ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 (სადაც დაწესებულებას, საბჭოს გადაწყვეტილებით, უფლება აქვს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები), ასევე გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავი (ახალი ლოკაცია). ახალი ლოკაცია დაახლოებით 5-6 კილომეტრის მოშორებითაა ქალაქ გორიდან, მანქანით 10-15 წუთის სავალზე. მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დისტანციური მონიტორინგის განრიგი. განრიგის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, შედგა მიმდინარე წლის 16 აპრილს. ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს და განიხილეს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია IV და V სტანდარტის კუთხით: გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკის და მართვის პროცედურები; დაწესებულების პერსონალის შეფასების და განვითარების მექანიზმები; დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; დაწესებულების მიერ უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, საგანგებო სიტუაციების მართვის და წესრიგის დაცვის მექანიზმები; დაწესებულების საქმისწარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები. დაწესებულების წარმომადგენელის ხელშეწყობით, ვიდეოჩართვის საშუალებით, დათვალიერდა სოფელ ხიდისთავში, კოლეჯის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი: შენობა-ნაგებობა და მასში განთავსებული სასწავლო და სახელოსნო ფართები, ასევე სანიტარული კვანძები და შენობის მიმდებარე ტერიტორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. გუგუნავა

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტისას გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე, შეიმუშავა დასკვნის პროექტი. დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, რიგ საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინა საკუთარი, არგუმენტირებული პოზიცია მტკიცებულებებითურთ. ასევე, შესაბამისობის განახლებული ცხრილი. ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის, მტკიცებულებებისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით შეცვალა მიდგომა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა დასკვნა მოცემული სახით.

III. ავტორიზაციის მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა		სრულად შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება		სრულად შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა		არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები		მეტწილად შეესაბამება

შენიშვნა: ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მე-4 სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში, ხოლო მე-5 სტანდარტი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს (5.1 კომპონენტის არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტისას რეკომენდაციები არ გაცემულა.

VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა მხრიდან მე-5 სტანდარტი - გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, რადგანაც დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი (რაც არ იყო ასახული შესაბამისობის გეგმაში):

5.1.1.1 საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის N1977 განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა (სახელოსნოები, სასწავლო აუდიტორია) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვრა გადაცემული ქონების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება, სარგებლობის პერიოდის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 29 აგვისტოს, 6 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, არ არის უზრუნველყოფილი ავტორიზაციის ვადით შენობა-ნაგებობით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის. ამასთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა წერილით, რათა ეცნობებინა მოცემული გარემოების შესახებ. თუმცა, სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, უცნობია. დაწესებულების წარმომადგენლებმა მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ზემოთხსენებული წერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დაწესებულებამ, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან გაცნობის შემდეგ, გაიარა კონსულტაცია განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით დამატებით გაიგზავნა წერილი (N480519) აღნიშნულთან დაკავშირებით, სადაც დაწესებულება საქმის კურსში აყენებს სამინისტროს ექსპერტთა დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზთან დაკავშირებით და ითხოვს რეკომენდაციას. სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია.

VII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.3 დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და არა სოფ. ხიდისთავი. ექსპერტებმა აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს ხელშეკრულებების გადახედვა და ხიდისთავის ლოკაციასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაკეთება. აქვე მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ოქტომბერი), სწავლის დაწყებამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1.4 სოფელ ხიდისთავში მდებარე დაწესებულების შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებულია ორი სახელოსნო და ერთი A ტიპის გარემო (აუდიტორია) და განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოების და აუდიტორიის უზრუნველყოფა ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოლეჯმა უკვე გააფორმა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობილობების შესყიდვის ხელშეკრულება (N26 25.05.2021), რაც ასევე ასახულია გაუმჯობესების გეგმაში. აქვე მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (მაისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.1.8 სანიტარული კვანძები (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) განლაგებულია გარე ტერიტორიაზე, შენობიდან დაახლოებით ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით. ექსპერტებმა ვერ შეძლეს ხსენებული სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, სველი წერტილები ამ ეტაპზე მომხმარებელთათვის არაა ხელმისაწვდომი - გაუმართავ მდგომარეობაშია, საჭიროებს რემონტს და მიმდინარე პერიოდში იგეგმება მათი მოწესრიგება.

დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სანიტარული კვანძების მოწყობა (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობაშივე. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (მაისი - სექტემბერი). დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში ასახა, რომ აღნიშნული სამუშაოები მათ დაწყებული აქვთ და დაასრულებენ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.1 შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მტკიცებულების სახით, ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებისა და შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.2 პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას, რომლის სამუშაო ადგილად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2. აქედან გამომდინარე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი სოფ. ხიდისთავში არაა განსაზღვრული. გასაუბრებისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოფელ ხიდისთავში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე იმოქმედებენ მოდულების განმახორციელებლები ან/და კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომელთა დატრენინგებას უზრუნველყოფს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ექსპერტებმა აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დააზუსტა, რომ კოლეჯის რეგულაციების მიხედვით (კრიზისული სიტუაციების გეგმა), საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება შეუძლია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილას მყოფ მასწავლებელს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, თუმცა, ახლო მომავალში დაწესებულება გეგმავს კოლეჯის თანამშრომელთა/სტუდენტთა გადამზადებას შემდეგი მიმართულებებით: სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი; პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი - თანამშრომელთა გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, რაც გაწერილია გაუმჯობესების გეგმაში, რომელიც ასევე იქნა წარმოდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის სახით. გეგმაში მითითებულია აღნიშნული ტრენინგების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ივლისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5.1.2.3 ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

5.2.1.1. ვიზიტისას დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არაა უკაბელო/კაბელიანი ინტერნეტი. კოლეჯის მესვეურებმა წარმოადგინეს გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია ინტერნეტ-პაკეტის შეძენის საკითხი. გეგმაში მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (სექტემბერი - სექტემბერი) და ვადა - ერთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობაში მოცემულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც დაწესებულებას ფუნქციურ უფლება-მოვალეობების დოკუმენტში აქვს გაწერილი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციისათვის, სამუშაო პირობები თუ სხვა დეტალური ინფორმაცია სამუშაო აღწერილობაში არ არის განსაზღვრული. რეკომენდებულია, სამუშაო აღწერილობაში აისახოს ზემოაღნიშნული.

4.1.2.3 დაწესებულებას გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამხმარე და ტექნიკური პერსონალისათვის, რომლებსაც, დაწესებულებაში კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად უნდა ჰქონდეთ საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. რაც შეეხება დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ამ მხრივ ძალიან ბუნდოვანი ჩანაწერია გაკეთებული. დაწესებულებას ადმინისტრაციული პოზიციის დასაკავებლად, საკვალიფიკაციო მოთხოვნად შემდეგი სახის მოთხოვნა აქვს: „შესაბამისი განათლების მქონე დოკუმენტი“. ამ ჩანაწერში არ იკვეთება, თუ რა კვალიფიკაციას მოითხოვს დაწესებულება თითოეული ადმინისტრაციული პერსონალისათვის. რეკომენდებულია, დაწესებულებამ თითოეული პოზიციისთვის გაწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

4.2.1.5 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და მათი წახალისების მექანიზმი, სადაც შესაძლოა გაწერილი იყოს წახალისების ფორმები და სხვა. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული მექანიზმების შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ კოლეჯ განთიადის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N64 ბრძანებით (დანართი N1) განსაზღვრულია კოლეჯის თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესი, სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული თანამშრომელი პირის ფუნქციები. უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. ხიდისთავის ლოკაციაზე დაწესებულებას არ ჰყავს გამოყოფილი კონკრეტული პირი/სტრუქტურული ერთეული, ვინც კოორდინირებას გაუწევს ადმინისტრაციულ თუ სასწავლო პროცესს. კოლეჯის ადმინისტრაციის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2. კოლეჯის წარმომადგენელთა განცხადებით, ხიდისთავში სასწავლო პროცესის ადმინისტრირება განხორციელდება ქ. გორიდან. დისტანციური ვიზიტისას, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არაა შედგენილი პერსონალის სამუშაო აღწერილობა. ვიზიტის დღეს, დაწესებულებამ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანებით (დანართი N1) დაამტკიცა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ პერსონალის სამუშაო აღწერილობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობაში მოცემულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც დაწესებულებას ფუნქციურ უფლება-მოვალეობების დოკუმენტში აქვს გაწერილი. საკვალიფიკაციო მოთხოვნები კონკრეტული პოზიციისათვის, სამუშაო პირობები თუ სხვა დეტალური ინფორმაცია სამუშაო აღწერილობაში არ არის განსაზღვრული, რაზეც, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დაწესებულების მესვეურებმა, დისტანციური ვიზიტისას, წარმოადგინეს პერსონალისთვის ფუნქცია-მოვალეობების გაცნობის ფაქტის მტკიცებულებები.

2. დაწესებულების თანამშრომელთა შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კოლეჯის სტრატეგიული (2020-2026 წწ.) და 2021 წლის ერთწლიანი განვითარების და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულია დაწესებულების ძირითადი მიზნების და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი, ფუნქციების შესაბამისად.

3. დაწესებულებას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე და მისი ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანებით - ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ - განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის საორგანიზაციო სტრუქტურა, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები, კოლეჯში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის, შემუშავების, ვალიდაციის, შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის პროცედურები. ჩამოთვლილთაგან არცერთ შემთხვევაში არ იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების ინტერესთა კონფლიქტი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია 2021 წლის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N64 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის N36 ბრძანების „თანამშრომელთა ფუნქციონალურ უფლება-მოვალეობების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების და ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ თანამშრომელთა ფუნქციონალურ უფლება - მოვალეობების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N28 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;

3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N74 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N22 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ 2021 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმის და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

5. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დამტკიცების შესახებ;

6. ინტერვიუირება.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია: ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები; კოლეჯის თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები; ორგანიზაციული სტრუქტურა; კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის, მოზიდვის, დაქირავების პროცესი; თანამშრომელთა პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტები; ახლადდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმები; პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მიდგომები. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია და დაინტერესებულ პირთათვის მისი გაცნობა კოლეჯის საქმისმწარმოებლის/არქივარიუსის მოვალეობაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დაწესებულების შინაგანაწესი შესაბამისობაშია პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან, კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და საქართველოს შრომის კოდექსთან. ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალისთვის შინაგანაწესის გაცნობის ფაქტის მტკიცებულებები.

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მეხუთე მუხლში გაწერილია კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევის, მოზიდვის, დაქირავების პროცესი: ა(ა)იპ კოლეჯის ,,განთიადი“ დირექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და კოლეჯის სხვა თანამშრომლებს. დასაქმების მსურველთა შერჩევისას კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესიც. მიღების შემთხვევაში კოლეჯი იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების და კოლეჯში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. დასაქმების მსურველი პირის სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, ხოლო კონკურსის შემთხვევაში - ამ მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისია. დასაქმების მსურველი პირის სამსახურში აყვანა ფორმდება შრომითი ხელშეკრულებით ან/და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის შერჩევის პროცედურა არ იყო სათანადოდ მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე. შერჩევის პროცედურაში არ იყო გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები, ასევე არ იყო განსაზღვრული კონკურსის ჩატარების წესი და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელთ განემარტათ, რომ ზემოაღნიშნული საკითხები აესახათ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, რაზეც მოხდა მყისიერი რეაგირება და ვიზიტის დღეს გამოიცა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N29 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებაში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.

დაწესებულების მიერ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები და იგი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მიერ გამოგზავნილი შრომითი ხელშეკრულების რამდენიმე ნიმუში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მეექვსე მუხლი შეეხება თანამშრომლის პირად საქმეს. აქ გაწერილია პირადი საქმის შემადგენელი სავალდებულო და არასავალდებულო დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას მოწესრიგებული აქვს პერსონალი პირადი საქმეები.

3. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ „განთიადის“ პერსონალის (დირექციის/ადმინისტრაციის; პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის) საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საგულისხმოა, რომ დაწესებულებას სოფ. ხიდისთავში არ ჰყავს დირექციის/ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლობა. მათ სამუშაო ადგილად განსაზღვრულია შემდეგი მისამართი: ქ. გორი, ბესიკის ქ. N2. მონიტორინგის დროს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: დაწესებულებას გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამხმარე და ტექნიკური პერსონალისათვის, რომლებსაც, დაწესებულებაში კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად უნდა ჰქონდეთ საბაზო/საშუალო ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. რაც შეეხება დირექციისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ამ მხრივ ძალიან ბუნდოვანი ჩანაწერია გაკეთებული. დაწესებულებას ადმინისტრაციული პოზიციის დასაკავებლად, საკვალიფიკაციო მოთხოვნად შემდეგი სახის მოთხოვნა აქვს: „შესაბამისი განათლების მქონე დოკუმენტი“. ამ ჩანაწერში არ იკვეთება, თუ რა კვალიფიკაციას მოითხოვს დაწესებულება თითოეული ადმინისტრაციული პერსონალისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრის დროს, მათ აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებული ჰყავთ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონდე პირები, რაც ექსპერტთა მიერ პირადი საქმეების შესწავლითაც დადასტურდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით, თითოეული თანამშრომელი, ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით, ჩართულია კოლეჯის სამუშაო პროცესებში. ამის დასადასტურებლად, მათ წარმოადგინეს სხვადასხვა სამუშაო შეხვედრის ამსახველი ფოტო-მასალა და ამასვე ადასტურებს ინტერვიუირების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ შინაგანაწესი;
3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 16 აპრილის N29 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანებაში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N34 ბრძანება პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. შრომითი ხელშეკრულებები;
7. სამუშაო შეხვედრების ამსახველი ფოტო-მასალა;
8. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მერვე მუხლის თანახმად, კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარება წარმოადგენს კოლეჯის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს, ეფექტურად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები. კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს: მოახდინოს კოლეჯის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი გამოსწორების გზების დასახვა; გამოავლინოს კოლეჯის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; შეაფასოს კოლეჯის პერსონალის საქმიანობა სწავლების და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; დროულად მოახდინოს სირთულეების იდენტიფიცირება კოლეჯის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები; კოლეჯის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს კვალიფიცირებული პერსონალის საჭიროების გამოვლენა. პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი. კითხვარის საშუალებით ადმინისტრაციულ პერსონალს აფასებს დირექტორის მოადგილე, წარუდგენს დირექტორს შედეგებს და ახორციელებენ შედეგების ანალიზს. პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. მიუხედავად დაწესებულების მიერ გაწერილი პერსონალის შეფასების მექანიზმისა, მონიტორინგის წარმოების დროს დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის არ წარმოუდგენია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
შედეგები და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები. აღნიშნული დოკუმენტები დაწესებულებას არც დოკუმენტების გამოთხოვის შემდეგ აქვს წარმოდგენილი.

2. ექსპერტთათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯს 2021 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გასატარებელ ღონისძიებებად ასახული აქვს ადამიანური რესურსის (ადმინისტრაცია+პედაგოგები) საჭიროებების შესწავლა და გამოვლენა; ტრენინგებში ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობის ხელშეწყობა. თუმცა, არ აქვს განსაზღვრული აღნიშნული ღონისძიებებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი (ბიუჯეტი). ვიზიტისას ექსპერტებმა, კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად, იმსჯელეს ხსენებულ თემაზე და დაწესებულებამ იმავე დღესვე გამოასწორა აღნიშნული საკითხი.

3. კოლეჯს 2021 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში გასატარებელ ღონისძიებად ასახული აქვს მასწავლებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა, ორგანიზება; თუმცა, არ ჰქონდა განსაზღვრული აღნიშნული ღონისძიებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი (ბიუჯეტი). ვიზიტისას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნულის გამოსწორების თაობაზე, რაც იქნა კიდეც გათვალისწინებული.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს კოლეჯის ხელმძღვანელი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან. არსებული პერსონალი, აგრეთვე ხელმძღვანელი, ვალდებული არიან მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას მის ახალ გარემოში ადაპტაციას. კოლეჯის ხელმძღვანელი და კოლეგები ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნობენ კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მიმდინარე ერთწლიან და სტრატეგიულ გეგმებს, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ პროცედურებსა და წესებს. კოლეჯის ხელმძღვანელი და კოლეგები ახალ თანამშრომელს აცნობენ შესასრულებელ სამუშაოს, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება მომავალში და უსახავენ ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. კოლეჯი აქტიურად იყენებს პერსონალის გამოკითხვას სოციალიზაციის შესახებ, რითაც ხელს უწყობს მათთვის კომფორტული და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნას. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ახლადდანიშნულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელმაც აღწერა მისი სამუშაო გარემოსთან გაცნობისა და ინტეგრაციის პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

5. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კოლეჯის წარმომადგენელთა თქმით, ინიციატივები რიგ შემთხვევებში ზეპირსიტყვიერად მიეწოდებათ პერსონალის მხრიდან, ან გამოიკვეთება ხოლმე პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად. თუმცა, ექსპერტთა დაკვირვებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და მათი წახალისების მექანიზმი, სადაც შესაძლოა გაწერილი იყოს წახალისების ფორმები და სხვა. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N69 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N22 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ 2021 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმის და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
3. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის N1977 განკარგულებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიდისთავში მდებარე შენობა-ნაგებობა (სახელოსნოები, სასწავლო აუდიტორია) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი. უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვრა გადაცემული ქონების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება, სარგებლობის პერიოდის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო 2019 წლის 29 აგვისტოს, 6 წლის ვადით. აქედან გამომდინარე, არ არის უზრუნველყოფილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
ავტორიზაციის ვადით შენობა-ნაგებობით სარგებლობა სასწავლო მიზნებისთვის. ექსპერტებმა აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად. ამასთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა წერილით, რათა ეცნობებინა მოცემული გარემოების შესახებ. თუმცა, სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, უცნობია. დაწესებულების წარმომადგენლებმა მტკიცებულების სახით წარმოადგინეს ზემოთხსენებული წერილი.
დაწესებულებამ, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან გაცნობის შემდეგ, გაიარა კონსულტაცია განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით დამატებით გაიგზავნა წერილი (N480519) აღნიშნულთან დაკავშირებით, სადაც დაწესებულება საქმის კურსში აყენებს სამინისტროს ექსპერტთა დასკვნის პროექტში მითითებულ ხარვეზთან დაკავშირებით და ითხოვს რეკომენდაციას. სამინისტროს პოზიცია, ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის უცნობია.

სოფელ ხიდისთავში არსებული შენობა-ნაგებობა მოიცავს ერთ A ტიპის გარემოს თეორიული სწავლებისთვის და დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის C ტიპის ორ გარემოს - სახელოსნოებს. კოლეჯის წარმომადგენელთა განცხადებით, შენობაში არსებობს რესურსი - დამატებით მოეწყოს კიდევ ერთი A ტიპის გარემო, თეორიული მეცადინეობებისთვის. ვინაიდან ხსენებული სივრცე ფაქტობრივად წარმოადგენს სახელოსნოს, აქ არ გვხვდება ე.წ. ფოიე - სივრცე, სადაც შესაძლებელია შენობაში მყოფი ადამიანების თავშეყრა სასწავლო აუდიტორიებში ან სხვა სივრცეებში მათ გადანაწილებამდე; სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - სივრცე მასწავლებლებისათვის, სადაც შეუძლიათ კომუნიკაცია, დამოუკიდებლად მუშაობა, შესვენების დროს განთავსება, შეხვედრა სტუდენტთან ან სხვა პირთან; ასევე ბიბლიოთეკა და არქივი - ეს უკანასკნელნი, დაწესებულების განმარტებით, ქ. გორში, ბესიკის ქ. N2 მისამართზეა განლაგებული.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N70 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ, კოლეჯში სწავლის პერიოდში, ისარგებლონ კოლეჯის უძრავ-მოძრავი ქონებით, სასწავლო მიზნების მისაღწევად. საჭიროების შემთხვევაში, მატერიალური რესურსების კოორდინატორი დროებითი სარგებლობის უფლებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს მათ კოლეჯის კუთვნილებაში არსებულ, სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

3. დაწესებულებას გამოყოფილი ჰყავს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები - დამლაგებელი და დამხმარე თანამშრომელი, რომელთაც კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N 64 ბრძანებით განესაზღვრათ შემდეგი უფლება-მოვალეობები: სველი წერტილებისა და კოლეჯის ინვენტარის სისუფთავის უზრუნველყოფა; სველი წერტილების საჭიროებისამებრ აღჭურვა; პასუხისმგებლობა კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე; კოლეჯის ბალანსზე არსებული შენობა - ნაგებობების, ცალკეული სათავსოების, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიის ჰიგიენურ, ფიზიკურ და საექსპლუატაციო ვარგისიანობის უზრუნველყოფა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს: „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ტერიტორიაზე დასუფთავების, ნაჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N09 ბრძანებით, „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ“ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანება, ცვლილება „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანებაში“ 2020 წლის 22 ივნისის ბრძანება N 32, რომელშიც და ასევე მის დანართებში: „კოლეჯში მოსულ პირთა ყოველდღიური რესპირატორული მონაცემების აღრიცხვის ჟურნალი“, „სამუშაო ადგილების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობების დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი“, „დასაქმებულთა ყოველდღიური რესპირატორული მონაცემების აღრიცხვის ჟურნალი“ - გაწერილია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები.

საგულისხმოა, რომ დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2 და არა სოფ. ხიდისთავი. ექსპერტებმა, დასკვნის პროექტში, აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს ხელშეკრულებების გადახედვა და ხიდისთავის ლოკაციასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაკეთება. აქვე მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ოქტომბერი), სწავლის დაწყებამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
დისტანციური ვიზიტისას ექსპერტებმა, დაწესებულების წარმომადგენელთა დახმარებით, ვიდეო-თვალის გამოყენებით დაათვალიერეს შენობა-ნაგებობა/მიმდებარე სივრცე (გარდა სანიტარული კვანძებისა) და დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა.

4. სოფელ ხიდისთავში მდებარე დაწესებულების შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებულია ორი სახელოსნო და ერთი A ტიპის გარემო (აუდიტორია) და განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. კოლეჯის წარმომადგენელთა თქმით, შენობაში დამონტაჟდება კონდიციონერები - გათბობისა და გაგრილების მიზნით. ექსპერტებმა, დასკვნის პროექტში, აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სოფელ ხიდისთავში მდებარე სახელოსნოების და აუდიტორიის უზრუნველყოფა ცენტრალური გათბობის სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კოლეჯმა უკვე გააფორმა ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობილობების შესყიდვის ხელშეკრულება (N26 25.05.2021), რაც ასევე ასახულია გაუმჯობესების გეგმაში. აქვე მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (მაისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

5. დაწესებულებას ჰყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კოლეჯს 2021 წლის 12 აპრილს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც მის სამუშაო ადგილად მითითებულია როგორც გორის (ბესიკის ქ. 2), ასევე სოფ. ხიდისთავის ლოკაციები. აღნიშნული ხელშეკრულება ექსპერტთათვის წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N62 ბრძანებით, დამტკიცებულია სოფ. ხიდისთავის შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია კრიზისული სიტუაციების გეგმა.

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N76 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ განთიადში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
მიზნებისათვის გამოყენებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვა-გაცემის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია წინამდებარე წესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რომლებიც ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის აქტებითა და წინამდებარე წესით. პროფესიული განათლების მასწავლებელი, მიმართავს სამსახურებრივი ბარათით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (მოდულით გათვალისწინებული) სახარჯი მასალა-ნედლეულის შეძენის თაობაზე სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც შეთანხმების შემდეგ წარუდგენს სამსახურებრივ ბარათს სახარჯი მასალა-ნედლეულის შეძენის თაობაზე კოლეჯის დირექტორს. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი სახარჯი მასალა-ნედლეულის გადაცემას ახორციელებს კოლეჯის მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, მიღება-ჩაბარების აქტით, შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მისთვის გადაცემული სახარჯი მასალა-ნედლეული გამოიყენოს მოდულით განსაზღვრული სასწავლო/საწარმოო პროცესისათვის და მოდულის მიმდინარეობისას სისტემატურად აწარმოოს გახარჯული ან/და დაზიანებული სახარჯი მასალა-ნედლეულის აღრიცხვიანობა ხარჯვის აქტის/აქტების მეშვეობით. მოდულის მიმდინარეობისას გახარჯული ან/და დაზიანებული სახარჯი მასალა-ნედლეული, რომელიც ექვემდებარება ჩამოწერას, მტკიცებულების სახით უნდა იქნას შენახული ჩამოწერის პროცედურების დაწყებამდე (მაგ. მყარი ნივთები: გატეხილი ნემსი, მაკრატელი, გამოყენებული მასალის ქილები, ყუთები და სხვა). ასევე, ის სახარჯი მასალა-ნედლეული, რომელიც მართალია ექვემდებარება ჩამოწერას, თუმცა ვარგისია გამოსაყენებლად (მაგ. სავარჯიშოდ). მოდულით გათვალისწინებული სასწავლო - საწარმოო პროცესის დამთავრებისას, თუ ეკონომიის ხარჯზე (ან სხვა მიზეზით) სახარჯი მასალა-ნედლეული დარჩა გამოუყენებელი, მისი გადაცემა პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორთან, სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო/ პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით. მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება კომისიასთან. გახარჯული სახარჯი მასალის, ნედლეულისა და შექმნილი პროდუქტის ჩამოწერის მიზნით იქმნება შესაბამისი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, მთავარი ბუღალტერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. მექანიზმები ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების შეფასებასაც. იგი მოიცავს ინვენტარის შეფასების გზებს, პასუხისმგებელ პირებს, დაინტერესებულ მხარეთა (მასწავლებელი, სტუდენტი) კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან, რელევანტურობასთან დაკავშირებით.

დაწესებულებას 2021 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ნაწილში, გასატარებელ ღონისძიებად გამიზნული აქვს კოლეჯის ინფრასტრუქტურის და ინვენტარის გაუმჯობესება/სრულყოფა.

8. სოფ ხიდისთავში, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია შშმ პირთათვის ადაპტირებული სანიტარული კვანძი, სადაც უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდება, არსებობს ვენტილაციის შესაძლებლობა და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სოფ. ხიდისთავის ლოკაციაზე მდებარე შენობა-ნაგებობა და მიმდებარე გარემო ადაპტირებულია შშმ პირთათვის. მოწყობილია პანდუსი, რის საშუალებითაც მათ წვდომა ექნებათ აუდიტორიასა და სახელოსნოებზე. რაც შეეხება გამიჯნულ (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) სანიტარულ კვანძებს, ადგილზე დისტანციური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სანიტარული კვანძები (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) განლაგებულია გარე ტერიტორიაზე, შენობიდან დაახლოებით ორმოცდაათიოდე მეტრის მოშორებით. ექსპერტებმა ვერ შეძლეს ხსენებული სველი წერტილების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება, ვინაიდან დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, სველი წერტილები ამ ეტაპზე მომხმარებელთათვის არაა ხელმისაწვდომი - გაუმართავ მდგომარეობაშია, საჭიროებს რემონტს და მიმდინარე პერიოდში იგეგმება მათი მოწესრიგება. თუმცა, შესაბამისობის გეგმაში ეს საკითხი არაა ასახული. ექსპერტებმა, დასკვნის პროექტში, აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს სანიტარული კვანძების მოწყობა (მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) სოფ. ხიდისთავში მდებარე შენობაშივე. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (მაისი - სექტემბერი). კოლეჯის განცხადებით, აღნიშნული სამუშაოები მათ დაწყებული აქვთ და დაასრულებენ გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

9. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს უხდებათ მუშაობა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

10. დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმიანობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, კოლეჯის ადმინისტრაციული პროცესები სოფ. ხიდისთავში არ წარიმართება. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო ფართზე პირთა დასაშვებად არ არსებობს რაიმე სახის ბარიერი ან შეზღუდვა.

11. დაწესებულების ბიბლიოთეკა მდებარეობს ქალაქ გორში, მისამართზე ბესიკის ქ. N2. დისტანციური ჩართვისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, სოფელ ხიდისთავში პროფესიულ სტუდენტებს შეეძლებათ ონლაინ ბიბლიოთეკით სარგებლობა, რისთვისაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ A გარემოში არსებული, მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი. მათივე განცხადებით, კოლეჯის ვებ-გვერდზე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის თავისუფალია წვდომა საბიბლიოთეკო რესურსზე (ელექტრონული წიგნები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის N1977 განკარგულება ა(ა)იპ კოლეჯ განთიადისთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, 23 სექტემბერი, 2019;

3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 6 აპრილის წერილი N330721 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისამართით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N70 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“;

5. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N 64 ბრძანება „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;

6. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N62 ბრძანებით დამტკიცებული შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის აღმოჩენის მექანიზმები;

7. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ კრიზისული სიტუაციების გეგმა;

8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ვარგისიანობასთან დაკავშირებით;

9. კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებისა და შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე;

10. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N76 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული აღჭურვილობის, სახარჯი მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვა-გაცემის, გამოყენების,სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ჩამოწერის წესი“;

11. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის N61 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;

12. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N22 ბრძანება ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ 2021 წლის ერთწლიანი განვითარების გეგმის და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

13. კოლეჯის ვებ-გვერდი: www.gantiadi.ge;

14. ინტერვიუირება;

15. ვიზუალური დათვალიერება;

16. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის წერილი N480519 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

17. „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ ტერიტორიაზე დასუფთავების, ნაჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“ დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „განთიადი“ დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N09 ბრძანებით;

18. „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ“ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანება;

19. ცვლილება „ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ (სამუშაო ადგილზე) ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დროებით გასატარებელი რეკომენდაციების შესახებ 2020 წლის 9 ივნისის N 30 ბრძანებაში“ 2020 წლის 22 ივნისის ბრძანება N 32;

20. შრომითი ხელშეკრულება N 05, 2021 წლის 12 აპრილი;

21. შესაბამისობის გეგმა - ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მესვეურებმა წარმოადგინეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ვარგისიანობასთან/მდგრადობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, მტკიცებულების სახით, ექსპერტთათვის წარმოდგენილ იქნა კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებისა და შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, შენობაში მობილიზებულია საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის. იდენტიფიცირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი დახმარების გასაწევად - კოლეჯის მედდა. კოლეჯი და მედდა თავად იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობის ვადის კონტროლზე. თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული ის ტელეფონის ნომრები, რომლეზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის თანახმად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ან საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება ევალება კოლეჯის მედდას, რომლის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია ქ. გორი, ბესიკის ქ. N2. აქედან გამომდინარე, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი სოფ. ხიდისთავში არაა განსაზღვრული. გასაუბრებისას, კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სოფელ ხიდისთავში პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე იმოქმედებენ მოდულების განმახორციელებლები ან/და კოლეჯის სხვა წარმომადგენლები, რომელთა დატრენინგებას უზრუნველყოფს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ექსპერტებმა, დასკვნის პროექტში, აღნიშნული შეაფასეს ხარვეზად.

ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დააზუსტა, რომ კოლეჯის რეგულაციების მიხედვით (კრიზისული სიტუაციების გეგმა), საჭიროების შემთხვევაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება შეუძლია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილას მყოფ მასწავლებელს. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელთა ნაწილს გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, თუმცა, ახლო მომავალში დაწესებულება გეგმავს კოლეჯის თანამშრომელთა/სტუდენტთა გადამზადებას შემდეგი მიმართულებებით: სახანძრო უსაფრთხოება; ზოგადი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟები; სტიქიური უბედურებები; კოვიდ-19 პრევენცია; ელექტროუსაფრთხოების გეგმა-ინსტრუქტაჟი; პირველადი გადაუდებელი დახმარების ინსტრუქტაჟი - თანამშრომელთა გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, რაც გაწერილია გაუმჯობესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
გეგმაში, რომელიც ასევე იქნა წარმოდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, არგუმენტირებული პოზიციის სახით. გეგმაში მითითებულია აღნიშნული ტრენინგების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (ივლისი - სექტემბერი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

3. კოლეჯის დირექტორმა წერილით მიმართა საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე. აღნიშნული საკითხი კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, სადაც მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (აპრილი - აგვისტო) და ვადა - ხუთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯის წარმომადგენელთა განცხადებით, ვინაიდან სოფელ ხიდისთავში არსებული შენობა-ნაგებობა არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე, მის უსაფრთხოებაზე, ვიდეომონიტორინგსა და წესრიგის დაცვაზე ზრუნავს დაცვის პოლიცია, რაც დასტურდებოდა კიდეც დათვალიერებისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ვარგისიანობასთან დაკავშირებით;

2. კოლეჯის დირექტორის წერილი საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსისადმი, შენობის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმებისა და შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შედგენის თაობაზე;

3. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N54 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“;

4. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული კრიზისული სიტუაციების გეგმა;

5. ინტერვიუირება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. შესაბამისობის გეგმა - ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფ. ხიდისთავში არსებული შენობა-ნაგებობა მოიცავს ერთ A გარემოსა და ორ სახელოსნოს, რომლებიც გამოყენებული იქნება მხოლოდ ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. შესაბამისად, ადგილზე მობილიზებულია მხოლოდ ერთი, მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი. დაწესებულებას ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სოფ. ხიდისთავში არ გააჩნია. ვიზიტისას დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არაა უკაბელო/კაბელიანი ინტერნეტი. კოლეჯის მესვეურებმა წარმოადგინეს გაუმჯობესების გეგმა, სადაც გაწერილია ინტერნეტ-პაკეტის შეძენის საკითხი. გეგმაში მითითებულია მისი შესრულების დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღები (სექტემბერი - სექტემბერი) და ვადა - ერთი თვე. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.

2. დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N65 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის IT რისკების მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებისა და ვისურებისგან დაცვის ღონისძიებები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N63 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი, რომელიც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

4. დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმები აფასებს როგორც ინფორმაციის ტექნოლოგიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და საჭიროების შემთხვევაში, ახოციელებს მისი გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირებას.

5. ვინაიდან სოფ. ხიდისთავში არსებული შენობა ფაქტობრივად გახლავთ სახელოსნო, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. ასევე, ამ ეტაპზე შეუძლებელია ინტერნეტით (უკაბელო ინტერნეტი) სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, რადგან შენობა-ნაგებობის ინტერნეტით აღჭურვა არ მომხდარა და ეს ჯერ კიდევ კოლეჯის გაუმჯობესების გეგმის ნაწილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კოლეჯს შექმნილი აქვს საკომუნიკაციო სტრატეგია. დაწესებულება შესაბამისი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ გაუმჯობესების გეგმა (ხიდისთავი);
2. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N65 ბრძანება - კოლეჯის IT რისკების მართვის პოლიტიკა;
3. ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადის“ დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის N63 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი;
4. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ საკომუნიკაციო სტრატეგია;
5. ინტერვიუირება;
6. ვიზუალური დათვალიერება.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N33 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საქმისწარმოების წესი. ამ წესის თანახმად, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის Eflow მეშვეობით. აქვე გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები; საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი; კორესპონდენციების მიღების, აღრიცხვის (რეგისტრაციის) და გაგზავნის პროცედურები და სხვ.

2. დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა Google, Office 365 და სხვა პლატფორმები.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N33 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის საქმისწარმოების წესი;

2. ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალზე, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.

2. დაწესებულების მისიაში განსაზღვრული არ არის საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. კოლეჯს ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია

PDF Eraser Free

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში, სხვადასხვა არხების (ვებ-გვერდი, სოც. ქსელები, ელ-ფოსტა, შეხვედრები და სხვ.) შედეგად მიღებულ უკუკავშირს, მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ვებ-გვერდი: www.gantiadi.ge;

2. დაწესებულების ფეისბუქ-გვერდი;

3. ინტერვიუირება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი.

01.06.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა. ნ. ბუბუნაია